ვებგვერდი, 111213007, 14/12/2011
სარეგისტრაციო კოდი
270090000.22.022.016237

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №200/ნ
2011 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი

,,საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. ,,საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანებით დამტკიცებულ ,,საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ" ინსტრუქციაში (სსმ III, 24.10.2005, №122, მუხ 1371) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის ,,ბ'' პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (სამუშაო სტაჟი);".

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი